ხელშეკრულება N117

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 8 ივლისი, 2022 წ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16, ტელეფონი: **226-14-11**, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. NGE24NB0330100200165022, სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ს/ნ-204862078), შემდგომში წოდებული "**შემსყიდველად**", წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელის **გიორგი გომარელის** სახით და **შპს „ტელკო სისტემს"** (იურ. მის.: თბილისი, ნუცუბიძის 221 კ. 1ᵃ ბ. 33; ფაქტ. მის.: თბილისი ალ. ყაზბეგის გამზ. №29ა, ტელეფონი: 597 373 388, საბანკო რეკვიზიტები: ანგ: NGE75TB4021536020100006; სს "თიბისი ბანკი", კოდი TBCBGE22; ს/ნ - 205203279) შემდგომში წოდებული "**მიმწოდებლად**", წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის **ირაკლი გულიაშვილის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც "მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის და ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის ,,ა" პუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" _ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე"_ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" _ წინამდებარე ხელშეკრულების ფასთა ცხრილით განსაზღვრული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

სატელეკომუნიკაციო მოწყობილობების და აქსესუარების შესყიდვა

(CPV კოდი - 3250000)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: **422 (ოთხას ოცდაორი) ლარი, დღგ-ს გათვალისწინებით.**

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული - სატელეკომუნიკაციო მოწყობილობების და აქსესუარების მიწოდება, ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 29ა.

ბ) მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ახალი და არ უნდა იყოს ნამყოფი ექსპლუატაციაში;

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. ხარისხი და გარანტია

5.1 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

5.2 მიმწოდებლის მიერ გარანტია ვრცელდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წლის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაზიანება გამოწვეულია მექანიკური ზემოქმედებით. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში (მიუხედავად ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვისა) წუნდებული საქონლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეცვლა უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯების გაწევის გარეშე.

5.3 საგარანტიო ვადა 2 (ორი) წელი გასულად არ ჩაითვლება და მიმწოდებელს ეკისრება წუნდებული საქონლის შეცვლის ვალდებულება ამ მუხლის 5.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგაც, თუკი საგარანტიო ვადის განმავლობაში აღნიშნულის თაობაზე შემსყიდველმა მიმართა მიმწოდებელს შესაბამისი წერილობითი მოთხოვნით.

5.4 წუნდებული საქონლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეცვლის ვალდებულებაზე ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობები.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - **ჟირონ ენუქიძე.**

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია საგარანტიო პერიოდში ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება უხარისხო საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინებიდან 3 (სამი) კალენდარულ დღეში ჩაანაცვლოს წუნდებული საქონელი საკუთარი სახსრებით.

6.4 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას მიწოდებული საქონლის უხარისხობით გამოწვეული ზარალი.

7 საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 საქონლის მიღება წარმოებს ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის და მიღება-ჩაბარების აქტის სახით. ინსპექტირების დასკვნა გაფორმებულ უნდა იქნას საქონლის მიწოდების დღეს, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტი - საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი სახით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 მიღება-ჩაბარებაზე ხელმომწერილი პირია **ზაქარია წითლაური** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს ხელმძღვანელი.

7.3 თუ მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარება შესაძლებელია გაფორმებულ იქნას მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება ვადის გადაცილებად.

8 ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან (თუ პირი დღგ-ს გადამხდელია) 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

9 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

10 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო მიუწოდებელი საქონლის ღირებულების **0.02%**-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების **0.02%**-ის ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13 ხელშეკრულების შეწყვეტა

13.2 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

15 ფორს-მაჟორი

15.2 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.3 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.4 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16 სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონული ფორმით.

16.2 მხარეები უფლებამოსილი არიან, ხელშეკრულება დაამოწმონ/დაადასტურონ კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპით.

16.3 ხელშეკრულების ელექტრონულ ასლს ორიგინალის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, თუ ის ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირის მიერ ან/და ელექტრონული შტამპით არის დამოწმებული ან/და დადასტურებული.

17 მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, **მისამართი:** ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16, **ტელეფონი:** 2 26 14 11, **საბანკო რეკვიზიტები**: ანგ. NGE24NB0330100200165022, სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22, ს/ნ - 204862078	**შპს „ტელკო სისტემს“** **იურ. მის.:** თბილისი, ნუცუბიძის 221, კ. 1ა ბ. 33; **ფაქტ. მის.:** თბილისი ალ. ყაზბეგის გამზ. №29ა, **ტელეფონი:** 597 373 388, **საბანკო რეკვიზიტები:** ანგ: NGE75TB4021536020100006, სს “თიბისი ბანკი“, კოდი TBCBGE22, ს/ნ - 205203279

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება, ტექნიკური მახასიათებლები და CPV კოდი	განზომილების ერთეული/ რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი, დღგ-ს გათვალისწინებით)	საერთო ღირებულება, (ლარი, დღგ-ს გათვალისწინებით)	საგარანტიო პერიოდი (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან)	წარმოების ქვეყანა/ მწარმოებელი/ მოდელი	მიწოდების ვადა და ადგილი
1	**ქსელის კაბელის ჯეკი** cat5e UTP RJ45 connector CPV-32500000	500 ცალი	0.07	35	2 წელი	Solarstar Electronics Industrial Co LTD (Vicenray)/ ჩინეთი/ მოდელი არ გააჩნია	ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, მისამართზე: ქ. ალ. ყაზბეგის გამზ. 29ა
2	**ტელეფონის ყურმილის ჯეკი** 6P4C PLUG, FOR FLAT CABLE, SUITABLE STRANDED WIRE, 3U", 94-V2, Rj-11 CPV- 32500000	200 ცალი	0.06	12		Solarstar Electronics Industrial Co LTD (Vicenray)/ ჩინეთი/ მოდელი არ გააჩნია	
3	**კომპიუტერული ქსელის ტესტერი** კაბელის ფიზიკური მდგომარეობის შემოწმების ფუნქციით, დაფარული კაბელების სკანირების ფუნქციით, Network Tester NF-8209 CPV- 32500000	1 ცალი	218	218		Solarstar Electronics Industrial Co LTD (Vicenray)/ ჩინეთი/ მოდელი NF-8209	
4	**ხელსაწყო ქსელის კონექტორების დასაჭეკი** RJ-45 + RJ-11, CSP-1061 CPV- 32500000	1 ცალი	21	21		HangZhou Scope Technology Co. Ltd (Catvscope)/ ჩინეთი/ მოდელი: HT-318	
5	**ქსელის კოლოფი** Rj45 CAT5e UTP, Keustone jack 2 პორტ. კედელზე გარედან დასამაგრებელი Keystone jacks for 2 port RJ45 UTP cat 5473 (Outlet) CPV- 32500000	20 ცალი	6.80	136		Solarstar Electronics Industrial Co LTD (Vicenray)/ ჩინეთი/ მოდელი არ გააჩნია	
			სულ:	422	ლარი დღგ-ს გათვალისწინებით		

შემსყიდველი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16,
ტელეფონი: 2 26 14 11,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. NGE24NB0330100200165022,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22,
ს/ნ - 204862078

მიმწოდებელი

შპს „ტელკო სისტემს“
იურ. მის.: თბილისი, ნუცუბიძის 221, კ. 1ა ბ. 33;
ფაქტ. მის.: თბილისი ალ. ყაზბეგის გამზ. №29ა,
ტელეფონი: 597 373 388,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ: NGE75TB4021536020100006,
სს “თიბისი ბანკი“, კოდი TBCBGE22,
ს/ნ - 205203279

Giorgi Gomareli
Digitally signed by Giorgi Gomareli
Date: 2022.07.08 18:08:35 +04'00'

Telco Systems LLC
Digitally signed by Telco Systems LLC
Date: 2022.07.08 14:14:33 +04'00'